პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 233 (3210)

1966 წ. დეკემბერი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

სსრ კავშირის პირველობა

...ეს საინტერესო!

◆ მოსკოვი, 30 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურიღა დარჩა. ოქროს მედლის მოხვეჭასთან ყველაზე ახლოს დგას რიგელი დიდოსტატი ა. ანდრეიკო — 11 ქულა 16-დან. 10-10 ქულა მოაგროვეს ვ. კაპლანმა, მ. კორხოვმა და ბ. შკიტკინმა. ვ. აკაფონოვს და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. შჩოგოლევს 9,5-9,5 ქულა აქვთ. ფინიშის სიუპრიზია ახალგაზრდა ხარკოველის ლ. ციპესის ზედიზედ 5 გამარჯვება. ახლა მას 9,5 ქულა აქვს 17 შესაძლებლიდან. XVII ტური გაიმართა პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის კლუბში. ამ კლუბის პრიზი საუკეთესო პარტიისთვის მიიღო ბაქოელმა ა. ბაბაიანმა, ხოლო ლამაზი კომბინაციისათვის — პირველობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 18 წლის ა. ვანტვარგმა (მინსკი).

ბაზრობათა თასზე

ციურიხი, 29 ნოემბერი. აქ მოწყო ფეხბურთში ბაზრობათა თასის მერვედფინალური მატჩების კენჭისყრა. აი, ყველაზე საინტერესო მატჩები: „ლიდსიუნაიტედი" (ინგლისი) — „ვალენსია" (ესპანეთი), „ბერნლი" (ინგლისი) — „ნაპოლი" (იტალია), „ლოკომოტივი" (ლაიპციგი, გდრ) — „მენფიკა" (პორტუგალია), „ბოლონია" (იტალია) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ინგლისი), „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი, გფრ) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი).

ყველაზე პატარა წიგნი

პარიზი, 29 ნოემბერი. ადგილობრივი გამომცემლობა სნას-ის მუშაკებმა თავისებური „მსოფლიო რეკორდი" დაამყარეს: მთელს დედამიწაზე ყველაზე პატარა წიგნი გამოუშვეს. მისი ზომა 6×7 მილიმეტრია.

წიგნის შინაარსი ოლიმპიური ფიცი გახლავთ, რომელიც შვიდ ენაზეა დაბეჭდილი: ფრანგულზე, გერმანულზე, ინგლისურზე, იტალიურზე, შვეიციურზე, რუსულსა და ფინურზე.

ტექსტი მხოლოდ ძალიან დიდი ლუპის საშუალებით შეიძლება წაიკითხოს კაცმა.

ილია დათუნაშვილი — საუკეთესო ბომბარდირი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 ნოემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი) 3:3 (0:0).

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი (ჩხაიძე), ძოძუაშვილი, ჭოლაძე, კუტიავაძე, ასიტაშვილი, ხერხაძე, ხუალია, გ. ნოდია.

„დინამო": კოტრიკაძე (ნარსია), ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, ბარქაია, მეტრეველი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი: ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

პირველი 20 წუთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ სახიფათო მომენტები უმეტესად ტორპედოელთა კართან იქმნებოდა. მაგალითად, მე-10 წუთზე სტუმრების ერთ-ერთი შეტევის დროს, როცა კვასხვაძემ ღიად დატოვა კარი, მეტრეველის მიერ თავით დარტყმული ბურთი თითქოს ნაღდად უნდა გასულიყო, მაგრამ ლოსაბერიძემ დროულად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და თავისი გუნდი გოლისგან იხსნა.

მაგრამ აი, გავიდა ეს 20 წუთი და ინიციატივა ხელთ იგდეს ქუთაისელებმა.

...დინამოელთა საჯარიმო მოედანში კარგად შეიჭრა ხაჟალია. ძლიერი დარტყმა! კოტრიკაძემ აკრობატულ ნახტომში მოიგერია ბურთი, რომელსაც ხერხაძემ მიუსწრო და ცარიელ კარში გაგზავნა. ამჯერად საქმეში ჩაერია... ძელი.

შემდგომში მასპინძლებმა — ასიტაშვილმა და კუტიავაძემ შორეული დარტყმებით შეამოწმეს კოტრიკაძის ოსტატობა. თბილისელთა მეკარე იოლად გაუმკლავდა ამ ბურთებს.

დასასვენებლად გუნდები „მშრალად" წავიდნენ.

სამაგიეროდ, მეტისმეტად უხემოსავლელი გამოდგა მეორე ტაიმი. ანგარიში უკვე 48-ე წუთზე გახსნა. სტუმრების საჯარიმო მოედანში სწრაფად შეიჭრა ხაჟალია და ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი. ქუთაისელები უტევენ... 52-ე წუთზე ხერხაძე ვერ მიწვდა ჭოლაძის მიერ კარგად ჩამოწოდებულ ბურთს და დაკარგა ანგარიშის გზრდის რეალური შანსი.

მალე თბილისელებმა საპასუხო იერიში განავითარეს: კვასხვაძის შეცდომა შესანიშნავად გამოიყენა დათუნაშვილმა, — იგი მეტოქის ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩა ბურთით და ცხადია, ანგარიშის გათანაბრებაც არ გაჭირვებია.

მარცხს ქუთაისელებმა ენერგიული შეტევით უპასუხეს და 56-ე წუთზე ხაჟალიამ კვლავ დააწინაურა „ტორპედო". მაგრამ მასპინძლებმა ეს წარმატება დიდხანს ვერ შეინარჩუნეს: მეტრეველი მარჯვენა ფლანგიდან ოსტატურად შეიჭრა მათს საჯარიმო მოედანში. ზუსტად ჩააწოდა ბურთი დათუნაშვილს და ამ უკანასკნელმა ისევ აღადგინა წონასწორობა — 2:2.

65-ე წუთი, ხერხაძე გაუსხლტა მცველებს, მეკარის პირისპირ გავიდა და ძლიერად დაარტყა. კოტრიკაძე ამჯერად უძლური იყო.

თბილისელები აშკარა მარცხის წინაშე დადგნენ, ამიტომაც მათ ძლიერად შეუტიეს ქუთაისელთა კარს, და აი, შეხვედრის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მიზანსაც მიაღწიეს: ებრალიძემ საჯარიმო მოედანზე მოცელა მეტრეველი და დათუნაშვილმა გაიტანა პენალტი. ამრიგად, იგი 20 ბურთით სათაეში მოექცა საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას და დაიმსახურა გაზეთ „ტრუდის" პრიზი.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ბურთი"

ბაქოელთა „ბრინჯაო" აუტსაიდერი და ჩემპიონი

ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი შედგა ბაქოში, რომელიც წყვეტდა III ადგილის საკითხს. აქ თამაშობდნენ „ადგილობრივი" „ნეფტიანიკი" და მოსკოვის „სპარტაკი". პირველად თავიანთი არსებობის ისტორიაში, ბაქოელი ფეხბურთელები ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოდნენ.

ბაქოელებმა ხელიდან არ გაუშვეს ეს ჩინებული შესაძლებლობა. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 და პირველად გახდნენ საკავშირო ჩემპიონატის III ადგილის მფლობელნი.

ბურთები გაიტანეს: მანიშევსკიმ (2) და მარჭაროვმა.

ოდესაში გაიმართა პირველობის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სატურნირო ცხრილის ბოლო და პირველი სტრიქონების ბინადარნი: „ადგილობრივი" ასკ და კიევის „დინამო".

გაიმარჯვეს ჩემპიონებმა — 2:0.

გოლების ავტორები არიან პარკუიანი და სერებრიანიკოვი.

„ჯ" ალაკი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი მდგომარეობა 1 დეკემბრისთვის.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	36	23	10	3	66—17	56
ასკ (როსტოვი)	36	20	7	9	54—44	47
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	36	18	9	9	56—28	45
„სპარტაკი" (მოსკოვი)	36	15	12	9	45—41	42
ცსკა	36	16	9	11	60—45	41
„დინამო" (თბილისი)	36	13	14	9	47—34	40
„ტორპედო" (მოსკოვი)	35	15	9	11	54—38	39
„დინამო" (მოსკოვი)	36	12	14	10	43—34	38
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	35	10	17	8	35—31	37
„შახტიორი" (დონეცკი)	36	15	7	14	32—35	37
„დინამო" (მინსკი)	36	11	13	12	36—39	35
„კაირატი" (ალმა-ათა)	36	12	11	13	30—39	35
„არარატი" (ერევანი)	36	12	10	14	30—45	34
„ჩერნოზემორეცი" (ოდესა)	36	10	13	13	29—36	33
„ტორპედო" (ქუთაისი)	36	9	10	17	44—59	28
„ზენიტი" (ლენინგრადი)	36	10	8	18	35—54	28
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	36	11	5	20	34—49	27
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	36	4	17	15	18—40	25
ასკ (ოდესა)	36	1	13	22	16—56	15

სპორტული დეკემბერი

ახლოვდება 1966 წლის ფინიში, სპორტული სეზონი კი კვლავინდებურად დუღს და გადადუღს... დეკემბერში საბჭოთა სპორტსმენები 58 საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვლენ.

პირველ ყოვლისა, ფეხბურთელებზე. სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენი საკლუბო გუნდები და ოლიმპიური ნაკრები ტურნეს გამართავენ ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში. ბევრი გუნდი უკვე უცხოეთშია. ორიოდე დღის წინ ოლიმპიური ნაკრებიც გაფრინდა ჰოლანდიაში. შედგება რამდენიმე საინტერესო მატჩი სხვადასხვა თასის გათამაშებაშიც.

მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელი ქალები 3 დეკემბერს უნგრეთში შეხვდებიან „დოჟას". ეს იქნება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მატჩი. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება მოსკოვში 18 დეკემბერს.

სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ორჯერ შეხვდება გდრ-ის გუნდს: 6 დეკემბერს თავის მოედანზე, 21 დეკემბერს კი — გდრ-ში. დეკემბრის შუა რიცხვებში ერევანსა და თბილისში გაიმართება ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოვლენ სსრ კავშირის, საქართველოს, უნგრეთისა და იუგოსლავიის ვაჟთა გუნდები.

18-19 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის თასის მეორე ფინალურ მატჩში პოლონეთის კოლექტივს შეხვდება რიგაში.

როგორც ცნობილია, „ამომავალი მზის ქვეყანაში" ამჟამად ახპარეზობს სსრ კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ნაკრები კოლექტივები. საბჭოთა ტანმოვარჯიშეების მეორე ჯგუფი საჩვენებელ გამოსვლებს ჩაატარებს კანადაში, პროფკავშირთა ნაკრები გუნდი კი — პოლონეთში.

დეკემბერი ზამთრის პირველი თვეა, ამიტომ, ცხადია, იგი ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებს მოუნდის დიდ ხარკს. საბჭოთა მოციგურეები და მოთხილამურეები შეხვდებიან გდრ-ის, ავსტრიის, ნორვეგიის, გფრ-ისა და შვეიცის გუნდებს. 24 დეკემბერს კანადაში დაიწყება ეროვნული ჰოკეის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივებთან ერთად გამოვა სსრ კავშირის ნაკრებიც.

ჯ. ხაჩიძე.

მოსკოვი. (ჩვენი კორ.).

არც ისე დიდი ხანია, რაც თბილისელ მძლეოსნებს თავი გააცნო ნორჩმა დინამოელმა ი. ფედოტოვამ. ამ ნიჭიერმა გოგონამ მალე შეძლო დაუფლებოდა „სპორტის დედოფლის" ანბანს და მუყაითი, დაუღალავი შრომით პირველი წარმატებანიც მოიპოვა. ამას წინათ თანაკლუბელთა საქალაქო ჩემპიონატში მან ორმაგი გამარჯვება იზეიმა. იმედია, ფედოტოვას სახით საქართველოს ნაკრები მალე კიდევ ერთ ძლიერ სპრინტერს მიიღებს.

სურათზე: ი. ფედოტოვა აწყობს კალაპოტს.

ფოტო ვ. ბუკინისა.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ბაზები, ბაზები...

ვანში ამ სამიოდე წლის წინათაც ვიყავი და მართალი გითხრათ, მაშინ უკმაყოფილო დავბრუნდი: რაიონში სათანადოდ არ იყო გაშლილი ფიზკულტურული მუშაობა, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებიც თითებზე ჩამოსათვლელი ჰქონდათ... ერთი სიტყვით, შთაბეჭდილებები უსიამოვნო გამოგვყვა. გავიდა ხანი და სურათიც ძალიან შეიცვალა. ვერ ვიტყვით, რომ ვანის ფიზკულტურელთა საქმიანობას ახლა ნაკლს ვეღარ უპოვი, მაგრამ ის, რაც ამ ბოლო ხანებში გაკეთდა, უთუოდ ყურადსაღებია.

რაიონის მესვეურებმა — პარტიის რაიკომმაც (რაიკომის პირველი მდივანი გ. ყიფიანი) და რაიაღმასკომმაც (თავმჯდომარე ო. გიორგაძე) მთავარი ყურადღება ყველაზე მტკივნეულ საკითხზე გაამახვილეს: ახალი სპორტული ბაზების შექმნასა და არსებულის კეთილმოწყობაზე. ამის თაობაზე პარტრაიკომის ბიუროზე და რაიაღმასკომის სხდომაზე იმსჯელეს, ამოცანები დასახეს. სიტყვას საქმეც მოჰყვა და მუშაობა გაჩაღდა.

რაიონის ფიზკულტურელებმა გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს ახალი სპორტული ბაზებით შეხვდნენ. მოკლე ხანში აშენდა რაიონის ცენტრალური სტადიონი, რომელიც 5 ათასი მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. მის აგებაში წვლილი მიუძღვის ყველას — ვანელ მოსწავლეებს, მშრომელებს, კოლმეურნეებს, რომლებიც ხშირად აწყობდნენ შაბათობებს და თავისუფალ დროს მშენებლობას ახმარდნენ. განსაკუთრებით ისახელეს თავი საწარმოო კომბინატმა (დირექტორი რ. ბაბიაშვილი), ვანის კიროვის სახელობისა (დირექტორი მ. მესხი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ნიკოლეიშვილი) და გ. ტაბიძის სახელობის (მ. ძაგნიძე, გ. ლომინეიშვილი) საშუალო სკოლებმა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა (ნ. აფხაზავა, ზ. ლორთქიფანიძე). ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა ამ შესანიშნავი სტადიონის გახსნას. ახლა დავუმატებთ, რომ ამ ბაზის მახლობლად მალე მწყობრში ჩადგება საცურაო აუზიც. აქაც ბევრი რამ საზოგადოებრივ საწყისებზე კეთდება. ჩქარობენ მშენებლები, — ვანელ მოცურავეებს გადაწყვეტილი აქვთ პირველი შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ჩაატარონ. მზადდება ღია საჭიდაო სარბიელიც...

რაიონის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გააკეთა — ვანელ ფიზკულტურელებს გადასცა შენობა, რომელშიც სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ საჭადრაკო კლუბი მოეწყობა.

ეს რაიონულ ცენტრში, მაგრამ სოფლებში როგორღაა საქმე? აი, ეს გვაინტერესებდა როცა ვანის სპორტკავშირის თავმჯდომარე ლ. ბუბაშვილთან ერთად გზას დავადექით...

გამოჩნდა სალბინო. სოფლის საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. ლორთქიფანიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ჯ. ლორთქიფანიძე) კეთილმოწყობილი მარტივი ტიპის სპორტული მოედნები აქვს. მიწის ყოველი გოჯი გონივრულად გამოუყენებიათ: ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის კომპლექსური მოედნები მოუწყვიათ, არც ტანვარჯიშული ბაქანი დავიწყებიათ.

მოტოციკლი აღმართს აჰყვა და სოფელ დიხაშხოს მივადექით. კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. ქიმუცაძე) თავად მოუწყვია ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები. ერთი სიტყვით, ბურთი და მოედანი მზადაა. საქმე ახალგაზრდების მუყაითობაზეა. დიხაშხოს ბაზებზე მეცადინეობენ ისრითის საშუალო სკოლის მოსწავლეებიც. ამ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. მაღლაკელიძე დიხაშხოელ კოლმეურნე-სპორტსმენებსაც ამეცადინებს უსასყიდლოდ.

და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... სოფელ ზეინდრის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მებურიშვილი) და რაწლიანმა სკოლამ (ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. გამყრელიძე) ერთად მოაწყეს ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები, სოფელ ამაღლების სკოლამ (ფიზაღზრდის მასწავლებელი ს. ტყეშელაშვილი) ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი გააკეთა, სოფელ ტობანიერში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ღვინიანიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. თარგამაძე) ძველი ბაზები კეთილმოაწყეს.

ეს რაც გაკეთდა, მაგრამ ვანელებს მომავლის გეგმებიც დიდი აქვთ...

გასაკეთებელი კი ჯერ მართლაც ბევრია. ვანში დღემდე არ არის სპორტდარბაზი (მოელს რაიონში მხოლოდ ორ სკოლას აქვს პატარა, ძალზე უხეირო დარბაზი). ამ მხრივ ცუდადაა საქმე ვანის გ. ტაბიძის სახელობის, სოფელ ამაღლების და შუაგორის საშუალო სკოლებში. შუაგორში სკოლა წლეულს აშენდა, პროექტით გათვალისწინებული ტიპიური დარბაზი კი რატომღაც არ აიგეს.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვანი.



ნაყოფიერად მუშაობს „განთიადის“ მხატვრული ტანვარჯიშის ცენტრალური სექცია, რომელსაც გამოცდილი ა. ტოუვაევა ხელმძღვანელობს. სექციაში გაერთიანებულია 25 სპორტსმენი.

სურათებზე: ზევით — მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობის მომენტი; ქვევით—პირველთანრიგოსანი ტ. ზახაროვა ბურთით ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლიტონი სიტყვები

საწარმოო ტანვარჯიშზე რომ ჩამოუგდებ სიტყვას, ფაბრიკებისა და ქარხნების ინსტრუქტორ-მეთოდისტები მაშინვე ციფრებს მოიშველიებენ. რიხიანად გეტყვიან, ჩვენთან საწარმოო ტანვარჯიშში მუშა-მოსამსახურეთა 70-80 პროცენტია ჩაბმულიო. მაგრამ, როგორც ირკვევა, უმეტესობა ცრუობს: იმედი აქვს, ლიტონი სიტყვით გავა ფონს.

ამას წინათ გადაწყვიტეთ თბილისის რამდენიმე საწარმო ჩამოგვევლო და ჩვენი თვალით გვენახა რა სურათია ამ მხრივ. „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოში მოწინავედ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა დაგვისახელეს, ჩამორჩენილთა შორის კი — მარმელადის ფაბრიკა. ჩვენც იქეთ გავემართეთ.

მანქანათმშენებლებს ერთ დროს მართლაც კარგი ტრადიციები ჰქონდათ: სექციები საკუთარ ბაზებზე მეცადინეობდნენ, ფიზკულტურელები ხშირად მონაწილეობდნენ რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში, საწარმოო ტანვარჯიშში ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ჩაბმული. მაგრამ ეს გახლდათ ერთ დროს, ახლა კი... ყველაფერი შეცვლილა. ფიზკულტურის ინსტრუქტორის ე. ზაზაძის აზრით, ეს იმან გამოიწვია, რომ საწარმოს სპორტული დარბაზი ლენინის რაიონს განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლას გადასცეს.

საქმე ის არის, რომ მანქანათმშენებლები დარბაზს ვერ უვლიდნენ, სპორტსკოლელებმა კი შეაკეთეს, კეთილმოაწყეს და ყოფილ „მფლობელებსაც“ არ ულლიან იქ ვარჯიშს. მაგრამ ზაზაძეს ეს რატომღაც არ უთქვამს ჩვენთვის.

რაც შეეხება საწარმოო ტანვარჯიშს, იგი დილით, მუშაობის დაწყებამდე 5 წუთით ადრე ტარდება. ამას კი სასურველი შედეგი არ მოაქვს.

საიარაღო საამქროში გვითხრეს, კარგი იქნება ხუთწუთიანი ფიზკულტპაუზები სამუშაოს დაწყებიდან 3 საათის მერე ეწყობოდეს. საწარმოო ტანვარჯიშს ყველაზე მეტად ამ საამქროში აქცევენ ყურადღებას. როგორც საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ვ. მანჯგალაძე ამბობს, „ყველა 42 კაცი სავარჯიშოდ ისე ცხადდება, როგორც ერთი“. საწარმოო ტანვარჯიშს საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, ხარატები ვ. მაზმიშვილი და ა. წიწაკიშვილი ხელმძღვანელობენ.

ტანვარჯიში დილით ტარდება სხვა საამქროებშიც. საშუადღეო ფიზკულტპაუზები კი საერთოდ არ ეწყობა. ასეა, მაგალითად, პირველ მექანიკურ-ამწყობ, საიარაღო და მექანიკურ-შემკეთებელ საამქროებში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ქარხნის სამმართველო, სადაც ყოველდღე სამის ნახევარზე ვარჯიშობენ.

მარმელადის ფაბრიკა, ალბათ, მალე მიიღებს კომუნისტური შრომის ფაბრიკის სახელს: მისი 17 ბრიგადიდან კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებას 16 უკვე ფლობს. ცხადია, საწარმოო მაჩვენებლების ზრდას სპორტიც დიდად უწყობს ხელს. კარგად მუშაობენ ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, სროლის, ჭადრაკისა და სხვა სექციები.

მაგრამ საწარმოო ტანვარჯიში? მეთოდისტმა ნ. გუდაძემ ქაღალდების კორიანტელში გაგვხვია. მაგრამ სწორედ მის ჟურნალებში ამოვიკითხეთ, რომ საწარმოო ტანვარჯიში აგვისტოს მერე არ ჩატარებულა, ყოველ შემთხვევაში, მასზე დასწრება არავის აღურიცხავს.

აგვისტომდე კი...

აქაც თითქმის იგივე სურათს წავაწყდით, რასაც 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, — ვარჯიში მხოლოდ პირველ ცვლაში ტარდებოდა. მაშინაც ყველა როდი „იწუხებდა თავს“.

დასკვნა ერთია: აღნიშნული საწარმოების კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ საწარმოო ტანვარჯიშს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელ დადგენილებაში „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საწარმოო ტანვარჯიშის როლსა და მნიშვნელობაზეც არის ლაპარაკი. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება კი ყველა საწარმოს დირექციის ვალია.

ვ. ბუკია.

ფოტოგრაღდება

ხელშეწყობა ამას ჰქვია?



თბილისის ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხნის დაუზარელი ახალგაზრდობა შრომის მერე ფიზკულტურისა და სპორტისთვისაც პოულობდა დროს. შესვენებისას თუ სამუშაოს შემდეგ საწარმოს თავისუფალ ტერიტორიაზე სახელდახელოდ მოაწყობდნენ „კარებებს“ და ფეხბურთელთა მატჩიც ჩაღდებოდა... სხვები ფრენბურთს არჩევდნენ, ზოგს სხვა სახეობები იტაცებდა, მაგრამ ყველა ენთუზიასტი ელემენტარულ სამეცადინო და სათამაშო პირობებს იყო მოკლებული.

და აი, სპორტის მოყვარულებმა ბაზების მოწყობა ითავეს, დირექცია მათ ხელშეწყობას დაპირდა და მუშაობაც გაიშალა: მიწა გაასწორეს, ასფალტი დააგეს, მოედნები დახაზეს. მხოლოდ დანადგარების აღმართვა იყო საჭირო და აქაური ფიზკულტურელების ოცნებაც ახდებოდა, მაგრამ...

ქარხნის ხელმძღვანელობამ პირობა დაარღვია — მოედნებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე მზა პროდუქციის უუთები დააწყო (იხ. სურათი).

— ცოტა ხნით გვათხოვეთ. მალე გავზიდავთ და მერე რამდენიც გინდათ, იხტუნეთო! — უთხრეს პეტიციით მისულებს.

ფიზკულტურელებსაც მეტი რა ღონე ჰქონდათ! იდგნენ და ელოდნენ ამ „ცოტა ხანს“, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მეტისმეტად დიდი გამოდგა. აი, უკვე შემოდგომაც მიიწურა, სამოედნო ტერიტორიაზე კი ისევ უუთები აწყვია...

ნეტავ როდემდე?

ტექსტი და ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

— მე არც ერთი შეჯიბრების, არც ერთი დისტანციის, არც ერთი მეტოქისა არ მეშინია, ვინაიდან მძლეოსნობა მიყვარს და ასპარეზობისთვის მუდამ მზად ვარ, — ნორჩი დინამოელების საქალაქო პირველობის დაწყებამდე გვითხრა 15 წლის ი. ფედოტოვამ. მასთან საუბარი იმიტომ დავიწყეთ, რომ ნაადგილყოფარმა გოგონამ მხოლოდ ორჯერ ივარჯიშა და მწვრთნელი ო. ელიოშვილი ძლივს დაითანხმა ტურნირში მონაწილეობის უფლება მიეცა.

ფედოტოვა მართლაც შემართებით იბრძოდა — ორ დისტანციაზე გამოვიდა და ორივეჯერ გამარჯვება იზეიმა. მან ჯერ 60 მეტრზე რბენა მოიგო (8,4), მერე კი 300 მეტრზე რბენაში ისახელა თავი — 46,3.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ეამართული ტურნირი მონაწილეთა სიმრავლით ზოგ უფრო დიდ შეჯიბრებას ჯობდა: სამივე ასაკში 110 ნორჩი მძლეოსანი ცდიდა ძალს და ბევრმა კარგი შედეგიც მოიპოვა. მაგალითად, 13-14-წლიანებში საზოგადოების მიღწევა დაამყარა ვ. მაისურაძემ, რომელმაც ოთხკილოგრამიანი ურო 36,42 მეტრზე ტყორცნა. მისმა თანატოლმა ი. შკიდინმა ყველას აჯობა 60 მეტრზე რბენასა (8,3) და სიგრძეზე ხტომაში (450), გ. სავიჩევმა კი 300 მეტრზე რბენა მოიგო — 40,4...

სწორი გზა

საშუალო ასაკის (15-16 წწ.) გოგონებში 100 მეტრზე რბენაში საუკეთესო იყო ნ. ვაჩნაძე — 13,5. აღსანიშნავია, რომ უფროს ასაკში ასეთივე შედეგით გაიმარჯვა ვ. კლეკცოვამ, რომელიც მერე პირველი იყო 60 (8,4) და 200 მეტრზე (28,8) რბენასა და სიგრძეზე ხტომაშიც — 439 სმ.

უკონკურსოდ მოასპარეზე ვ. პოპოვი („შრომითი რეზერვები“) კარგად გამოვიდა სიმაღლეზე ხტომაში — 185 სმ დაძლია, თ. აფხაზავამ კი 100 (11,3) და 200 მეტრზე (23,7) რბენაში აჯობა ყველას. მათ არც ჯ. ნარიმანიძე ჩამორჩა. ამ ჭაბუკის მიერ ნატყორცნი ურო ყველაზე შორს — 53,30 მეტრზე დაეცა.

ჭაბუკთა ტურნირში თავი ყველაზე მეტად მაინც ა. ტყემალაძემ გამოიჩინა. მომავალში მისგან შეიძლება კარგი მრავალჭიდელი დადგეს. ამ ტურნირში იგი სამ სახეობაში გამოვიდა და სამივეჯერ დამაკმაყოფილებელი შედეგით გაიმარჯვა (სიგრძეზე ხტომა — 607 სმ, სიმაღლეზე — 170 სმ, ბირთვის კვრა — 12,35 მ).

60 მეტრზე [illegible] კარგი შედეგი მოიპოვა მ. ჭარსელაძემ. ეს არ[illegible] [illegible] დღეს მან ხომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველობაში 100 მეტრი 11 წამში გაირბინა და პირველად შეასრულა მოზრდილთა I თანრიგის ნორმა.

ტურნირმა, რომელიც დეკემბრის რესპუბლიკური შეჯიბრებისთვის ძალთა შემოწმება იყო, დაადასტურა, რომ „დინამოში“ სწორი გზით მიდის ახალგაზრდა ათლეტთა აღზრდა.

ვ. ბუკინი.

მცხეთრის შეფიერვით...

ნ. ალექსანდრიას, ისე როგორც აწ განსვენებული ცნობილი მწვრთნელის ვ. ჭარსელაძის ყველა სხვა მოწაფეს, კომბინაციური თამაში იტაცებს. იგი, ჩვეულებრივ, იერიშს პაიკის ან ფიგურის შეწირვით აცისკროვნებს. ნანა არც კიევში ღალატობს თავის შემოქმედების კრედოს. საერთო აღიარებით, ქვემომოყვანილი მისი პარტია ერთ-ერთი საუკეთესოა.

ნ. ალექსანდრია — თ. გოლოვეი

1. e4 c5 2. ∅c3 ∅c6 3. ♗gc2 ♗f6 4. g3 g6 5. d4 cd 6. ♗:d4 d6 7. ♗g2 ♗d7 (და არა 7. ...♗g7 8. ♗:c6 bc 9. e5-ის გამო) 8. ♗b3 ♗g7 9. 0—0 0—0 10. h3.

სიცილიური დაცვის ამ სისტემაში თეთრები იერიშის შესაძლებლობას ღებულობენ, ამიტომ ნ. ალექსანდრიაც ემზადება თავდასხმისთვის.

10. ...♗e5 11. f4 ♗c4 12. ♕e2 ♕c8 13. g4 h6 14. ♗xh1 ♘e8 15. ♗d2 ♘e6 16. ♗f3 ♗b6 17. ♗d2 ♗c4 18. ♕f3 ♗d7 19. ♗:c4 ♘:c4 20. ♘f2 ♘a6.

გოლოვეი ტყუილ-უბრალოდ კარგავს დროს. აუცილებელი იყო კონტრთამაშის მომზადება. ახლა თეთრები შეტევას იწყებენ.

21. ♗d5 ♘b5 22. f5 ♗e5 23. ♕g3 ♗d7 24. g5 ♘e5 25. ♘f4 h5 26. ♘:e5 ♗:e5 27. f6 e6 28. ♗f4.

რა თქმა უნდა, თბილისელ სტუდენტს შეეძლო ხარისხის მოგება: 28. ♗e7+ ♔:e7 29. fe, მაგრამ 29. ...♕e8, 30. ...♕:e7 შემდეგ შავებს თანაბარი პოზიცია ექნებოდათ e5-ზე ძლიერი მხედრის გამო. ალექსანდრია ხედავს მეფეზე კომბინაციური იერიშის შესაძლებლობას და უარს ამბობს მატერიალურ ნადავლზე.

28. ...♔h7 29. ♘f3 ♗:f3 30. ♕:f3 ♖h8 31. ♖g1 (31. ♗:h5-ს მოჰყვებოდა 31. ...♔g8 კონტრთამაშით) 31. ...♔g8 32. ♖d1 ♕c5 33. h4 ♘c6 34. ♖e1 ♖c8 35. c3 ♕c4.

გოლოვეის ჰგონია, რომ მან თავდაცვისთვის ყველაფერი გააკეთა, ამიტომ უშიშრად თამაშობს ლაზიერით.

36. b3 ♕c5 37. c4 ♕b4 38. ♖d1 ♕c5 39. ♖fd2 ♕e5 40. ♖d4 ♕a5? 41. ♖:d6 ♕:a2.



42. ♗:g6!

კარგად ნათამაშევი პარტიის საუცხოო ფინალი.

42. ...fg 43. ♕h3 ♖e8

ეს გაგრძელება სწრაფად აგებს. უფრო შეუპოვარი იყო 43. ...♘:e4+ 44. ♔g1 ♘f5, რაც ალექსანდრიასგან ზუსტ თამაშს მოითხოვდა, თუმცა პარტია მას მაინც მოგებული ჰქონდა. ამ ვარიანტში თამაში, ალბათ, ასე წარიმართებოდა: 45. ♕e3! (მუქარით 46. ♖d8+) 45. ...♖e8 46. ♖d8 ♖:d8 47. ♖:d8+ ♔h7 48. ♖d7+ ♔g8 49. f7+ ან ასე: 45. ...♖f8 46. ♖:e6 ♖h7 (თუ 46. ...♕c2, მაშინ 47. ♖d8!) 47. ♖e8 ♖hf7 48. ♖:f8+ ♖:f8 49. ♕e7 მოგებით.

44. ♖:e6 ♔f7 45. ♖:c6! და შამათის მუქარის გამო შავები დანებდნენ.

შენიშვნები თ. გიორგაძისა.



ნორჩ დინამოელთა სტარტები
ემზადებიან საიუბილეო სპარტაკიადისთვის
დაწინაურდნენ რუსეთის ფედერაციისა და დიტვის გუნდები
ცნობილი მეკარის სახელობის პრიზზე

ახალგაზრდები უფევენ

მონკავშირის, „ლოკომოტივის“, არმიელთა სპორტკლუბის სასტენდო სროლის სექციებში ახალგაზრდებთან ნაყოფიერ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია — გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი მსროლელი, რომელთაგან ზოგმა უკვე ისახელა თავი: მაგალითად, საქართველოს ამასწინანდელ ჩემპიონატში ადგილიდან სროლა მოიგო ვ. ალავერდოვმა („ლოკომოტივი“) და სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა, მისი თანაგუნდელი ბ. იუნკინი და არმიელთა სპორტკლუბის წარმომადგენელი ნ. გოცირიძე კი მეტად ახლოს მივიდნენ ამ სანუკვარ მიჯნასთან.

ახალგაზრდების შემოტევა ამას წინათაც იგრძნობოდა — თბილისის თასის გათამაშებაში. თბილისელმა სპორტის ოსტატმა ტ. ჟღენტმა (მონკავშირი) წლეულს მრგვალ სტენდზე ბევრი შეჯიბრება მოიგო: ჯერ რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა, მერე საქართველოს სპორტკავშირის თასი, ამას წინათ კი უკრაინელებთან მატჩში მასზე ბევრად გამოცდილი მეტოქეებიც დაამარცხა. მოსალოდნელი იყო, რომ ტარიელი თბილისის თასისთვისაც შემართებით იბრძოლებდა. მართლაც, ოსტატს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა. იგი პირველსავე სერიაში 1 ქულით ჩამორჩა არმიელებს — ახალგაზრდა ნ. გოცირიძეს და უფრო გამოცდილ ლ. სიმონიანს, რომლებმაც 24-24 სამიზნე გატეხეს. II სერია სამივემ ერთნაირად (24 ქულა) გაიარა. III სერიაში გოცირიძემ კიდევ 24 სამიზნე დაამსხვრია და 1 ქულით გაასწრო სიმონიანს, რომელსაც ჟღენტი ასევე 1 ქულით ჩამორჩა. მართალია, ჟღენტმა ბოლო სერიაში ორივეს აჯობა (24 ქულა), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: მეტოქეებმა 23-23 ქულა მოიპოვეს და საქართველოს ჩემპიონი III ადგილით „დაკმაყოფილეს“ (93 ქულა). გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ნ. გოცირიძემ — 95 ქულა. თასის გარდა მან სპორტის ოსტატის ნიშანიც დაიმსახურა.

ადგილიდან სროლაში ზ. მაჩხანელმა („სპარტაკი“) პირველი სერია უშეცდომოდ განვლო, მაგრამ არც ამ სახეობაში ცხრებოდნენ ახალგაზრდები: ოსტატობის კანდიდატი ბ. იუნკინი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ვეტერანს. ასე იყო მეორე სერიაშიც. 50 შესაძლებლიდან მათ შეხბამისად 50 და 48 ქულა ჰქონდათ. ლიდერებს მიუახლოვდა მეორე ვეტერანი — შ. ჩახნაშვილი (მონკავშირი), რომელსაც 45 ქულა და ლიდერთა დაწევის შანსი ჰქონდა, მაგრამ დარჩენილ ორ სერიაში სამივემ ერთნაირი შედეგები (23-23 და 24-24) აჩვენა. ამრიგად, მაჩხანელმა 97 სამიზნე გატეხა და ამ სეზონში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. ბ. იუნკინმა 95 ქულა მოაგროვა, რაც ზუსტად სპორტის ოსტატის ნორმაა. ჩახნაშვილი III ადგილზე დარჩა.

კარგად გამოვიდა ტურნირის ერთადერთი ქალი ე. მელიქიშვილი, რომელმაც ადგილიდან სროლაში 16 მოალაარეზიდან ბევრი დაჯაბნა.

საქართველოს სპორტსმენები თავის ბოლო მატს ბაკოში, აზერბაიჯანის გუნდთან გამართავენ, რის შემდეგ თბილისში კონსტიტუციის სახელობის თასს გაითამაშებენ და წლევანდელი სეზონიც დამთავრდება. სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის სამზადისი ფინიშის სწორზე გადის...

ო. გელაშვილი.

კალათბურთი

ლიდერები გამოვლინდნენ

ლენინგრადში, საბჭოთა კალათბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში უკვე გამოვლინდნენ ლიდერები. ქალთა გუნდებში დაწინაურდა რუსეთის ფედერაციის ნაკრები, რომელმაც გუშინწინ, V ტურში მეტად დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა მასპინძლები — 62:60. მოსკოვის გუნდმა მხოლოდ მინიმალური უპირატესობით სძლია უკრაინის კოლექტივს — 58:57.

ვაჟებში ლიდერობა ხელთ იგდო ლიტვის ნაკრებმა, რომელმაც ამ დღეს დაამარცხა საქართველოს გუნდი — 85:70. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: უკრაინა—მოსკოვი 64:49, ლენინგრადი — რსფსრ 88:70.

კონსტიტუციის თასზე

პირველი მოულოდნელობა

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გრძელდება კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება კალათბურთში. ტურნირს მოულოდნელად გამოეთიშა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — სსოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი. სტუდენტები, რომელთაც რამდენიმე მოწინავე კალათბურთელი აკლდათ, დამარცხდნენ „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდთან — 53:63. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა დინამოელებმა ეს შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს. ქეის ღირსნი არიან ძმები ნ. და ი. თოფურიძეები, რომლებმაც გუნდს 29 ქულა შესძინეს.

უნივერსიტეტის პირველმა კოლექტივმა ადვილად მოუგო შეხვედრა „შრომითი რეზერვების“ მეორე გუნდს — 56:34.

პირველი მატჩები გამართეს ქალთა გუნდებმა. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: განათლების განყოფილება — „შრომითი რეზერვები“ 44:29, სამედიცინო ინსტიტუტი — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი 39:33, „დინამო“ — ფიზკულტურის ინსტიტუტის II გუნდი 67:17, უნივერსიტეტი — „ლოკომოტივი“ 40:31.

ლ. თუშიშვილი.



ამოცანა

სპორტის ოსტატი
თ. ბარამძე
(რუსთავი)

თეთრები იწყებენ
და იგებენ.

საკდესი ასწორებს

„ლელოს“ 29 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „უკანასკნელ საათს“ საკდესმა დაუშვა შეცდომა — უსწოროდ მიუთითა უნგრელი ძალოსნის ი. ფიოლდის წონითი კატეგორია მსოფლიო რეკორდის დამყარების დროს. საკდესმა გაასწორა შეცდომა: აჭიმვაში მსოფლიო რეკორდი (130,5 კგ) ფიოლდის ქვემსუბუქ წონაში დაუმყარებია.

როგორც ვიტყობინებოდით, საინტერესოდ ჩაიარა ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკურმა ტურნირმა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მარლანიას სახელობის თასზე.

ტურნირში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები ცალკეულ მოთამაშეთათვის. ახმეტელი გ. ნემსიწვერიძე, რომელსაც ხედავთ ზემო სურათზე ვ. მარლანიას სახელობის პრიზით ხელში, მიჩნეულ იქნა ტურნირის საუკეთესო მცველად. გათამაშების საუკეთესო მეკარედ აღიარებულ იქნა ბოლნისელი თ. სტეფანია (ქვევით).

ფოტო ი. იუნაევისა.



ჩვენს მამა რესპუბლიკებში

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოკრივეები, ოლიმპიური ნაკრების წევრები ჩიმბულაკში (ყაზახეთი), ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზე ვარჯიშობენ. სპორტსმენებს მეხიკოს ოლიმპიადისთვის ამზადებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ოგურენკოვი. ნაკრების წევრებმა კარგად გადიტანეს აკლიმატიზაციის პერიოდი.

* * *

სურათზე: ვ. ფროლოვი საექიმო შემოწმებას გადის ვარჯიშის შემდეგ. რეგულარული სამედიცინო გამოკვლევები მწვრთნელთა საბჭოს ხელს უწყობს ყოველი მოკრივისთვის ოპტიმალური სწვრთნელი გრაფიკის გამომუშავებაში.

ფოტო გ. ემელიანოვისა (საკდესი).

ყველაზე მაღალმთიანი ევროპაში

ნალჩიკი, 29 ნოემბერი. იალბუზის წარმტაც მიდამოებში, სასტუმრო „იტკოლის“ გვერდით დამთავრდა ევროპაში ყველაზე მაღალმთიანი საციგუროს მშენებლობა. იგი ზღვის დონიდან 2080 მეტრზე მდებარეობს.

საციგუროს ტრიბუნები 3.000-მდე მაყურებელს დაიტევს. შესანიშნავ სპორტულ ნაგებობას აქვს ფართო გასახდელები, მსჯავრთა ოთახი, იგი აღჭურვილია პროჟექტორებით. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ კეთილმოწყობის მხრივ ახალი საციგურო უცხოეთის ბევრ მაღალმთიან „კოლეგას“ ჯობს.

ზაფხულში საციგურო ფეხბურთის მინდვრად იქცევა, ხოლო წიდიან ბილიკებზე მძლეოსნები შეძლებენ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას.

საციგუროს გვერდით მთავრდება ჰოკეის ორი კარგად მოწყობილი მინღურის აგება.

ფეხბურთი

„რაპიდი“ გუშინ და დღეს

�до Спортсмен

Ოცდაათიანი წლები გუშმატკივართა ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება, როგორც ავსტრიის ფეხბურთის ოქროს ხანა. ავსტრიის მაშინდელი ნაკრები, ანუ, როგორც მას უწოდებდნენ „ვუნდერტიმი“ (სასწაულებრივი გუნდი), ოსტატობის ისეთივე იდეალი იყო, როგორიც მსოფლიოში ამ ცოტა ხნის წინ ბრაზილიის გუნდი გახლდათ. „ვუნდერტიმი“ ვენის 4 საფეხბურთო კლუბის: „ადმირას“, „აუსტრიის“, „ვაკერისა“ და „რაპიდის“ ბაზაზე შეიქმნა.

II ადგილზე სულ ახლახან „რაპიდმა“ თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში ანგარიშით 1:0 დამარცხა „აუსტრია“ (კლაგენფურტი) და ახლა გათამაშებაში II ადგილზე იმყოფება. I ადგილზეა ინსბრუკის „ვაკერი“ — 18 ქულა. „რაპიდი“ მას 1 ქულით ჩამორჩება.

ამ დიდი ოთხეულიდან მხოლოდ „რაპიდი“ იყო ერთადერთი, რომელიც არც თუ ისე ორთოდოქსალურად მიჰყვებოდა კლასიკურ ვენურ სკოლას; სკოლას, აგებულს ისეთ ზუსტ, დახვეწილ გადაცემებზე, რომლის დროსაც მეტოქეს ბურთს არც კი აკარებენ. თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვენელი ფეხბურთის მოყვარულები მაინც სიამოვნებით იგონებენ იმ დიდებით მოსილ დღეებს. ამასთან, ხშირად ივიწყებენ, რომ ძველი დრო წარსულს ჩაბარდა, რომ ახალმა სისტემამ, ახალმა წყობამ წარმოშვა უფრო თანამედროვე ტაქტიკა, რომ ძველი „კერპები“ ახალმა „ვარსკვლავებმა“ შეცვალეს.

ავსტრიის დღევანდელი ფეხბურთი კარგა ხანია აღარ ჰგავს „ვუნდერტიმის“ აუურულ კომბინაციებს. ეს სავსებით თანამედროვე თამაშია, სადაც ოდნავი საშიშროებისას 8 კაცი უკან იხევს, გოლები კი მცველებს გააქვთ. მთელი უბედურება ისაა, რომ დღეს ვენელებს საერთაშორისო კლასის მოთამაშეები არა ჰყავთ. ავსტრიის ფეხბურთში თაობათა შეცვლასთან დაკავშირებული გარდატეხა ხდება. ეს კი ხანგრძლივი და საკმაოდ რთული პროცესია.

ამას ვერ ასცდა ვენის „რაპიდიც“, რომელიც მოსკოვის „სპარტაკს“, თასების მფლობელთა თასს, გათამაშების შემდგომ სტადიაში გასვლას ეცილება. თუმცა, ვენელებს ბედმა გაუღიმათ. კენჭის ყრისას წინა ნომერი მოსკოველებს ხვდათ, ამიტომ პირველი თამაში სპარტაკელებმა თავიანთ მინდორზე ჩაატარეს, მეორე კი — უფრო სპასუხისმგებლო — ვენაში შედგება.

ვენის „პრატერსტადიონს“ კარგა ხანია უსიამოვნო სახელი აქვს. აქ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა რამდენიმე თამაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ერთი მატჩი ფინალურ სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე შეწყვიტეს, თუმცა მასპინძელთა გუნდის უნუგეშო მდგომარეობა უკვე ნათელი იყო. არბიტრებს სტადიონიდან შეიარაღებულ ჟანდარმთა ესკორტი მიაცილებდა, გაფოთრებულმა მაყურებლებმა კი ტრიბუნები ნაცარ-ტუტად აქციეს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვის „სპარტაკისთვის“ განმეორებითი მატჩი არც ისე იოლი იქნება.

ვერ ვიტყვი, რომ ამ ბოლო წლებში ავსტრიის გუნდებს ბედი წყალობდეთ. შარშან მათ პირველი მატჩებიდანვე მოუხდათ ბრძოლის შეწყვეტა, როგორც ჩემპიონთა თასის, ისე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. „ადმირამ“ წლეულსაც ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველსავე წრეში დაყარა ფარ-ხმალი. ვენელების მთელი იმედი „რაპიდზეა“ დამყარებული.

საინტერესოა, რომ მიმდინარე სეზონში „რაპიდმა“ ვერ მოიპოვა ავსტრიის თასი. ჩემპიონობაც და თასიც „ადმირამ“ დაისაკუთრა და როგორც წესია, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება ფინალში დამარცხებულ გუნდს, ე. ი. „რაპიდს“ დაუთმო.

რა თქმა უნდა, ვენელებს ესმით, რომ მათი გუნდი ევროპულ თასს ვერ მოიპოვებს, მაგრამ მაინც სურთ, რაც შეიძლება მეტ თამაშს გაუძლონ, მით უმეტეს, რომ სეზონის დაწყებამდე „რაპიდი“ ძლიერი „საიდუმლო იარაღით“ აღიჭურვა. ეს გახლავთ ბიორეგაარდი, — დანიის ერთ-ერთი უძლიერესი ბომბარდირი. საქმე ის არის, რომ დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა დრო, როცა სხვადასხვა ქვეყნის გუნდები ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ ვენის სკოლის მოთამაშეებს. ახლა ავსტრიელები იძულებული არიან სხვებს სთხოვონ დახმარება. მაგრამ, რაკი ვენის საფეხბურთო კლუბების ფინანსური მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა, საერთაშორისო საფეხბურთო ბაზარზე მათი „ნადავლი“ მაინცდამაინც დიდად ღირებული როდია. თუმცა, დანიელი ბედნიერი გამონაკლისია. ყოველ შემთხვევაში, ამ შენაძენმა „რაპიდი“ გადაარჩინა ავსტრიის ყველა გუნდის ქრონიკულ ავადმყოფობას — სისუსტეს გოლების გატანაში. უკვე პირველ წრეში — თურქეთის „გალათასარაისთან“ ორი შეხვედრისას, ვენელებმა 9 გოლი გაიტანეს. სტამბოლში. საპასუხო მატჩში, როცა ორთაბრძოლის ბედი რაპიდელთა სასარგებლოდ გადაწყდა, ვენელებმა თავდაცვას ყურადღება ამჯობინეს. სტუმრების ანგარიშზე აქ მეტი ბურთი მოდიოდა (5), ვიდრე შინ, „პრატერზე“ (4).

ვიტლაჩილს შესთავაზეს...

მეხიკო, 29 ნოემბერი. მექსიკის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა გ. კანედომ ცნობილ ჩეხოსლოვაკელ სპეციალისტს, ამჟამად „რაპიდის“ მწვრთნელ რ. ვიტლაჩილს 1968 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მექსიკის ნაკრების მომზადება შესთავაზა.

9 ნოემბერს, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მოსკოველი ფეხბურთის მოყვარულები კვლავ შეხვდნენ ვენის „რაპიდს“, როგორც ცნობილია, მატჩი ლუჟნიკში ფრედ დამთავრდა (1:1). ამ თამაშმა ცოტა არ იყოს დაფიქრა დედაქალაქის გუნდის თაყვანისმცემლები. ვენელებმა მოსკოვში განიმტკიცეს ძლიერი, მაღალტექნიკური და მობილური კლუბის რეპუტაცია.

მათ მოიპოვეს ქულა, რომლის ნამდვილი ფასიც 8 დეკემბერს, „პრატერის“ სტადიონზე გაირკვევა. ამ სტადიონზე სპარტაკელებს მოუწევთ რთული, უშეღავათო თამაში გამარჯვებისთვის, ვინაიდან წარმატება ერთადერთი შანსია თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლის გაგრძელებისა.

ა. ვასინი.

ჩემპიონატები, მავჩები, ლიდერები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატს ლიდერობს ქ. კარლ-მარქს-შტადტის ამავე სახელწოდების გუნდი, რომელმაც 13 თამაშის შემდეგ დაგროვა 20 ქულა. II ადგილზეა „განზა“ (როსტოკი) — 18 ქულა.

△ **ლოზანა.** 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აქ საინტერესო „დუელი“ გაიმართა ფრანგ მოსკოონისა და ევროპის ჩემპიონ მაკგრეგორს (ინგლისი) შორის. ინგლისელმა მეტოქეს ფინიშთან 0,9 წამით მისსწრო — 56,1.

△ **ლიმა.** არგენტინის მოფარიკავეთა გუნდი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდა.

△ **ზაგრები.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ჩერვინმა 10.000 მეტრზე რბენაში იუგოსლავიის ახალი რეკორდი დაამყარა — 28.59,8.

△ **ბუდაპეშტი.** ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონმა ტეგლამ 1,5-კილოგრამიანი ბადრო 64,86 მეტრზე ტყორცნა და 78 სმ-ით გაუსწორა რუმინელ ნაგის მსოფლიო მიღწევა.

△ **მარსელი.** 17 დეკემბერს აქ მეტად საინტერესო ასპარეზობა გაიმართება. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მსოფლიოს რეკორდსმენი, ფრანგი მოსკონი, ოლიმპიური ჩემპიონი შოლანდერი (აშშ), ევროპის ჩემპიონი ვიგანდი (გდრ) და ბელიც-გეიმანი (სსრ კავშირი).

△ **მელბურნი.** მძლეოსანთა შეჯიბრებისას სიგრძეზე ხტომაში კრაულმა ავსტრალიის ახალი რეკორდი დაამყარა — 810 სმ. სხვა მაღალი შედეგებიდან აღსანიშნავია: სიმაღლეზე ხტომა—პეკამი — 210, ორ მილზე რბენა—კლარკი — 8.42,6, 6 მილი — ბეილი — 27.40,0, შუბის ტყორცნა — კარლტონი — 78,46, 400 მეტრზე ქალთა რბენა — პოლოკი — 55 წამი.

△ **ბუქარესტი.** ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის III პრიზიორმა, 18 წლის კურბუმ სამხტომში რუმინეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 15,64.

△ **ბრიუსელი.** საერთაშორისო კროსში, რომელშიც 3 ათასი მძლეოსანი მონაწილეობდა, გაიმარჯვა ბელგიელმა ალონიუსმა. 7.400 მ მან 23 წუთსა და 10 წამში გაირბინა. ეს ათლეტი ბელგიელთა ნამდვილი აღმოჩენაა და მას მეხიკოში საპრიზო ადგილს უწინასწარმეტყველებენ.

კიდევ ერთი შესარჩევი...

ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევ ჯგუფში ამას წინათ ჩატარდა მორიგი მატჩი. საფრანგეთის ფეხბურთელები ლუქსემბურგში შეხვდნენ ადგილობრივ ნაკრებს. ფრანგებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და პირველ ტაიმში ერბემ, რეველიმ და ლეშმა 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. ეს ანგარიში უცვლელი დარჩა მატჩის ბოლომდე.

დღესასწაული და 100 პატიმარი

ვანკუვერი, 29 ნოემბერი. დიდი საფეხბურთო დღესასწაული — კანადის ლიგის ჩემპიონატის ფინალი აქ ვეებერთელა სკანდალით დამთავრდა. ქვეყნის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილების ჩემპიონთა შეხვედრის შემდეგ, რომელმაც 150 ათას მაყურებელს მოუყარა თავი, 5 ათასმა განსაკუთრებით დაუდეგარმა გულშემატკივარმა „თავისი“ ზეიმი გამართა. ისინი ქალაქის ქუჩებში ჩირაღდნებით დადიოდნენ და გზად ამსხვრევდნენ ფანჯრის მინებსა და ვიტრინებს, ხოლო პოლიციელებს ლუდის ბოთლებს ესროდნენ.

მხოლოდ სახანძრო ბრანდსპოიტების, სასამსახურო ძაღლებისა და ცრემლმდენი გაზის საშუალებით გახდა შესაძლებელი სპორტის აღვირახსნილი თაყვანისმცემლების გაფანტვა. 100 კაცი დაპატიმრებულია.

6 ათასი გირვანქა სტერლინგი და IV ადგილი

ლონდონი, 29 ნოემბერი. ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციიდან ფულადი პრემიის სახით 6 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო. ასე აღნიშნა ასოციაციამ რამსეის დამსახურება მსოფლიოს VIII ჩემპიონატში.

ამავე დროს, ა. რამსეიმ IV ადგილი დაიკავა ინგლისის 1966 წლის საუკეთესო სპორტსმენთა სიაში, რომელიც მკითხველთა გამოკითხვის საფუძველზე შეადგინა გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“.

ამ ათეულში I ადგილი დაიკავა ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ბ. მურმა.

„რეალის“ გასაჭირი

საერთაშორისო სპორტული პრესა ცხოველ კომენტარს უკეთებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის — მადრიდის „რეალის“ მარცხს როგორც ურუგვაის „პენიაროლთან“, ისე „მიუნხენ 1860“-თან.

მიმმხილველები ხაზს უსვამენ, რომ „რეალს“ ახლა აღარა ჰყავს ის დიდი ოსტატები, რომელთა წყალობითაც ადრე დიდ წარმატებებს აღწევდა. კერძოდ, მათი აზრით, ფორმაში არ არიან ბეტანკური, სანჩისი, პაჩინი. უწინდელის აჩრდილიც არაა გუნდის კაპიტანი ზოკო. ველასკესს მაღალი ტექნიკა აქვს, მაგრამ ზედმეტად ერთობა ინდივიდუალური თამაშით და ველარ მოაქვს სარგებლიანობა გუნდისთვის. რაც შეეხება ჰენტოს, იგი იმის ილუზიითაა, თითქოს კვლავ ჰყავდეს გვერდით ა. დი სტეფანო და ფ. პუშკაში.

„რეალის“ მეპატრონემ ს. ბერნაბეუმ გადაწყვიტა „რეალის“ მწვრთნელად 1967 წლის მარტიდან მოიწვიოს ა. დი სტეფანო.

უნგრელ ჟურნალისტთა აზრით

უნგრელი მიმომხილველები ოპტიმისტურად არიან განწყობილი იტალიის „ინტერნაციონალესა“ და უნგრეთის „ვაშაშის“ განმეორებითი მატჩის წინ, რომელიც 8 დეკემბერს უნდა შედგეს ბუდაპეშტის ცენტრალურ სტადიონზე. ისინი იმედოვნებენ, რომ მათი გუნდი შეძლებს აინაზღაუროს მარცხი პირველ მატჩში (1:2).

„ვაშაში“ ახლა საუკეთესო ფორმაშია და აგრესიული სტილით თამაშობს. ძალიან ძლიერად, ეფექტურად მოქმედებს თავდასხმაში ფარკაშისა და ლ. პუშკაშის წყვილი.

„ინტერისა“ და „ვაშაშის“ მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე გათამაშების ცენტრალურ მოვლენად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ ე. ერერას გაუჭირდება საერთო უპირატესობის მოპოვება.

რ. ილოვსკი და ნ. ჰიდეგკუტი

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნა რ. ილოვსკი, რომელიც აქამდე ნაკრებს დროებით ედგა სათავეში. მას დაეკალა უნგრეთის ნაკრების მომზადება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის.

ილოვსკი 40-ან წლებში „ვაშაშის“ ცენტრალური თავდასხმელი იყო, შემდეგ წვრთნიდა I ლიგის სხვადასხვა კლუბს, ხოლო მსოფლიოს VII და VIII ჩემპიონატების დროს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლ. ბარატის ასისტენტად მუშაობდა.

მსოფლიოში ფართოდ ცნობილი ნ. ჰიდეგკუტი დამტკიცებულია უნგრეთის ოლიმპიური ნაკრების მთავარ მწვრთნელად. „დიდი გუნდის“ პოპულარულმა ცენტრალურმა თავდასმსმელმა თამაშს თავი დაანება 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. შემდგომში იგი წვრთნიდა „ფიორენტინას“, „მანტოვას“ და უნგრეთის I ლიგის სხვადასხვა კლუბს.

ფეხბურთელები მხოლოდ მეორენი...

ევროპის ქვეყნებში ყოველთვის როდი არიან ყველაზე მრავალრიცხოვანნი ფეხბურთის ფედერაციები. მაგალითად, ავსტრიაში ყველაზე მეტი წევრი ალპინიზმის ფედერაციას ჰყავს — 310 ათასი კაცი. ფეხბურთელები მხოლოდ II ადგილზე არიან — 220 ათასი კაცი.

რედაქტორი მ. ქაკაბაძე.

დღეს თბილისში

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა, „ა“ კლასი. „ტორპედო“ (მოსკოვი)—„პახტაკორი“ (ტაშკენტი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

ИП/II КС 66118 ხელ. ან ტაბ. გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06118